

## ბავშვთა უფლებების სწავლება ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციით

მოცემულ სტატიაში აღნიშნულია თუ რა მნიშვნელობა აქვს დაწყებით საფეხურზე ბავშვთა უფლებების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში.

დროთა განმავლობაში იცვლება წარმოდგენები საგაკვეთილო პროცესის შესახებ. თანამედროვე გაკვეთილი აღარ მოიცავს ამ ცნების ტრადიციულ გაგებას. მულტივადერთ სივრცეში სწავლების პროცესს. მასწავლებლებს აქვთ თავისუფლება სხვადასხვა გზით მიაღწიონ სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებს და აირჩიონ სწავლების სხვადასხვა ფორმა. განათლების მკვლევრები, ფსიქოლოგები და თეორეტიკოსები უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე.

როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლებაში დიდ ადგილი უკავია მედიაწიგნიერებას. საინფორმაციო ტექნოლოგიების წყალობით საგაკვეთილო პროცესი ბევრად უფრო საინტერესო, შედეგზე ორიენტირებული და მოსწავლეებისათვის სახალისო ხდება. რაც შეეხება არაფორმალური განათლების პროცესს, დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა უმრავლესობისთვის იგი თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. მითუფრო, თუ არაფორმალური განათლების ფარგლებში საგაკვეთილო პროცესს დავგეგმავთ განსხვავებულ გარემოში, როდესაც ცოდნის კონსტრუირება საკლასო ოთახის კედლებს სცდება.

ჩემს მრავალწლიან პრაქტიკაზე დაკვირვების საფუძველზე აღმოვაჩინე, რომ სხვადასხვა ძალისხმევის მიუხედავად ბავშვთა უფლებების კონვენცია მაინც რთული და საძლევია თუ არ მოხდა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან გამოცდილებებით სწავლა. ინტეგრირება პრაქტიკასთან და სწავლების ინოვაციურ მეთოდებთან დაკავშირება.

მე, როგორც პრაქტიკოსმა მასწავლებელმა, მივხვდი, რომ ზემოხსენებული საკითხი საჭიროებდა ინფორმაციულ შევსებას და პრაქტიკული დავალებებით გამდიდრებას. ამიტომ გადავწყვიტე გამემრავალფეროვნებინა აღნიშნული თემა. შემეტანა მასში სხვადასხვა საინტერესო აქტივობები და ბავშვთა უფლებების კონვენცია ამგვარად შემესწავლებინა. საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში, აღნიშნული პრობლემის საფუძველზე , დავგეგმე საგაკვეთილო ციკლი ბავშვთა უფლებათა კონვენციაზე, რომლის ფარგლებშიც გავწერე რამდენიმე გაკვეთილი სამი კვირის განმავლობაში, საგანში- „მე და საზოგადოება“ მე-3 (ა) და მე-3 (ბ) კლასში, ორ პარალელურ კლასს შორის, კლასთა ინტეგრირებით დავგეგმე

მრავალფეროვანი და მიზნის შესაბამისი აქტივობები. აქტივობების დაგეგმვისას განვსაზღვრე მშობლის როლიც. ესგ-ის სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ კომპეტენციებში.

**რა ადგილი გვიჭირავს მე და ჩემს თანატოლებს თემის ცხოვრებაში? (საზმეც.დაწყ.(I).1,13.)**

**რა განასხვავებს და რა აერთიანებს ჩვენი თემის წევრებს? (საზმეც.დაწყ.(I).1, 10, 14)**

აქტივობათა თანმიმდევრობა:

1. მოსწავლეებმა გამოიკითხეს თანატოლები იციან თუ არა რაიმე ბავშვთა უფლებების შესახებ? რა არის უფლება? რა არის მოვალეობა? შეგროვებული მონაცემები დაახარისხეს და გამოიტანეს დასკვნები, რომ მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია ბავშვთა უფლებების შესახებ
2. ინტერვიუ მშობლებთან- დედა, მამა, თქვენს ასაკში სწავლობდით თუ არა ბავშვთა უფლებებს სკოლაში? იცოდით კონვენციის შესახებ? აღნიშნულ კითხვებზე პასუხი ჩაიწერეს ჩანაწერთა დღიურებში, მოვაწყვეთ ჯგუფური მუშაობა შედეგების ანალიზისთვის და აღმოჩნდა, რომ მშობელთა უმეტესი ნაწილი ბავშვობაში არ იყო ინფორმირებული ბავშვთა უფლებების შესახებ და არც კონვენციას ასწავლიდნენ სკოლაში.
3. სახელმძღვანელო წიგნზე მუშაობა- ჯგუფური მუშაობის საფუძველზე გავმართეთ კლასში პრეზენტაცია რა ყოფილა უფლება? რას ნიშნავს სიტყვა-მოვალეობა? რისი უფლება აქვთ ბავშვებს? რატომ არის ცალკე გამოყოფილი ბავშვთა უფლებები და არ არის იგი გაერთიანებული ადამიანთა უფლებებთან? როდის მიიღეს კანონი ბავშვთა უფლებების შესახებ და სხვა.
4. მედიაწიგნიერება- მოვიძიე სასწავლო ვიდეორესურსები, სადაც ანიმაციური პერსონაჟები განასახიერებენ სიტუაციურ ამოცანებს. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს კონვენციის რომელი მუხლია დარღვეული. მოცემულ შემთხვევებს თან ახლდა ქეისები, ფასილიტაციას ვუწევდი მოსწავლეთა მსჯელობებს, კრიტიკულ აზროვნებას, დებატს, დასკვნების გამოტანის დროს ვაძლევდი ბიძგის მიმცემ შეკითხვებს.
   მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე სწავლა-სწავლების პროცესში მედიაწიგნიერებას უმნიშვნელოვანესი მისია აქვს, მოსწავლეებს უვითარდებათ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი, მსჯელობენ, აყალიბებენ არგუმენტებს, გამოაქვთ დასკვნები, რაც ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.
5. მეხუთე აქტივობაში მოსწავლეები გამოვიყვანე სკოლის ეზოში და მოვაწყვეთ ასფალტზე ხატვა ფერადი ცარცებით მოსწავლეებმა კლასში ნანახი, განცდილი და გონებაში აღბეჭდილი ემოციები გადმოიტანეს ნახატებში. შექმნეს აპლიკაციები წარწერებით ,,ჩვენ ვიცით, რომ...“ ,,მე არ შევზღუდავ შენს უფლებებს, რადგან...“ , ,,მე შემიძლია, რომ...“ ,,იქ სრულდება შენი უფლება, სადაც იზღუდება ჩემი, ამიტომ...“ და სხვა. სკოლის ეზო აჭრელდა ფერადი წარწერებით და ნახატებით, რამაც დასვენებაზე სკოლის საზოგადოების ინტერესი გამოიწვია.
6. ფლაერების დამზადება - დიფერენცირებული მიდგომის თვალსაზრისით კლასი დავყავი ჰომოგენურ ჯგუფებად, მივეცი არჩევითი დავალებები, მათი ინტერესების გათვალისწინებით შეექმნათ შემდეგი სახის პროდუქტები: ფლაერები, პოსტერები, ნახატები, წერილები, ბავშვთა უფლებების კონვენციის თემაზე. მოსწავლეებმა იმუშავეს ჯგუფურად, გააკეთეს პრეზენტაციები, ისაუბრეს საშრომში წარმოდგენილი პროდუქტის შესახებ. კიდევ ერთხელ გაიხსენეს ბავშვთა უფლებების კონვენცია. გამოთქვეს მოსაზრებები საკუთარი ნაშრომების შესახებ, რა გაუჭირდათ, რა დაეხმარათ დავალების შესრულებაში, რისი ცოდნა გამოადგათ, რას გაითვალისწინებენ მომავალში და სხვა. პრეზენტაციის ბოლოს შევთანხმდით, რომ მოსწავლეთა ნაშრომებს გამოვაკრავდით თვალსაჩინო ადგილას.

7. ამის შემდეგ, მოსწავლეები წავიყვანე ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბავშვთა უფლებათა ცოდნის ცენტრში, სადაც შევაჯამეთ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნა, ამოვიცანით ანიმაციებიდან ბავშვთა უფლებათა დარღვევის შემთხვევები, დავასახელეთ რომელი უფლება შეეზღუდათ ანიმაციის გმირებს. წარმოვადგინეთ ჩვენ მიერ შექმნილი რესურსი, ფაზლ-სახლი, რომლის აწყობის შემთხვევაში საბოლოოდ მიიღებოდა პუნქტები ბავშვთა უფლებათა კონვენციიდან. რესურსის აწყობის შემდეგ გავათვალსაჩინოეთ და კიდევ ერთხელ წავიკითხეთ ხმამაღლა კითხვით აქტივობის ბოლოს მოსწავლეების მიერ ჩატარებულ ვორქშოპს გამოეხმაურა უნივერსიტეტის დაწყებითების კათედრის დეკანი მამული ბუჩუხიშვილი.

დაგეგმილმა სახალისო აქტივობებმა დადებითად იმოქმედა, როგორც სწავლა-სწავლების ხარისხზე, ასევე მოსწავლეთა მოტივაციაზე. სწავლის ხარისხის გაუმჯობესებამ კი კიდევ ერთხელ ცხადყო არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტეგრირების სიკეთეებზე და დაგვარწმუნა უზნაძის თეორიის უნიკალურობაში, რომ მთავარია განწყობა უკეთესი შედეგებისთვის. ეფექტურმა და მოსწავლის ასაკზე მორგებულმა დავალებებმა კი ჩართულობის მაღალი ხარისხი გამოიწვია, ხოლო შესწავლილი მასალა მკვიდრ წარმოდგენებში დაილექა. მოსწავლეებმა სიამოვნებით გამოთქვეს შთაბეჭდილებები, გაიხსენეს პროექტის ფარგლებში განხორციელებული ყველაზე საინტერესო აქტივობები. დასამახსოვრებელი ფაქტები, ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო მაგალითები. შეხვედრის ბოლოს აზრი გამოთქვეს მშობლებმაც და აღნიშნეს, რომ შვილებთან ერთად მრავალი ინფორმაცია მათთვისაც ახალი იყო. სიამოვნებით იყვნენ ჩართულნი აქტივობებში და სასიამოვნოდ გაახსენდათ ბავშვობა შვილებთან ერთად შესრულებული დავალებები.
პროექტის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას გავაზიარებ კოლეგებთან და სხვადასხვა სკოლის დაინტერესებულ მასწავლებლებთან. ხოლო რესურსი ხელმისაწვდომი იქნება კათედრის ყველა წევრისთვის.

ეკა მაჩიტაძე

სსიპ ქალაქ ქუთაისის N12 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი